

Alpina FliesenKleber Universal

ალპინა ფილების უნივერსალური წებო

მაღალი ფიქსაციის მქონე, ყინვა-მედეგი წებო, იატაკების და კედლების კერამიკული და ფაიფურის, ფილებით მოპირკეთებისათვის. შიდა და გარე სამუშაოებისთვის.



პროდუქტის აღწერა

შეფუთვის ზომები:

ტომრები 25კგ

თვისებები:

- ყინვა მედეგი
- კარგი ელასტიურობა
- მაღალი მდგრადობა
- კარგი ადჰეზიურობა
- მარტივი დასაბუნად

ტექნიკური პარამეტრები:

- ადჰეზიურობა ბეტონის ზედაპირზე 0,8 მპა; -
- სიმტკიცე კუმშვაზე 16 მპა
- ადჰეზიური სიმტკიცე გაყინვა-გაღვობის 25 ციკლის შემდეგ - ≥ 0.8 მპა

ხარჯი:

დაახლ. 7 კგ/მ²/8 მმ
ზუსტი ხარჯი დამოკიდებულია ზედაპირის მომზადებაზე, ფილის ზომაზე, ხელსაწყოზე.

ფერი:

ნაცრისფერი

შენახვის პირობები:

შენახეთ პაღონებზე, მშრალ და ნესტისგან დაცულ ადგილას, სადაც შესაძლებელია ცემენტის და კირის შემცველი მასალების დასაწყობება.

დანიშნულება:

წებო/ცემენტი Alpina FliesenKleber Universal-ი გამოიყენება იატაკის და კედლის კერამიკული ფილების მისაწებებლად. დანებება შესაძლებელია როგორც სტაბილურ ზედაპირებზე, ასევე დეფორმაციისკენ მიდრეკილ ზედაპირებზე, როგორცაა: ბეტონი, ცემენტი/ბათქაშები, გიფსოკარდონი, გიფსო ფილები, აგური და ა.შ. პროდუქტი გამოდგება შიდა და გარე სამუშაოებისთვის. გამოყენება შესაძლებელია აგრეთვე იატაქვეშა გათბობის მქონე იატაკებზე.

გამოყენების პირობები:

მუშაობის და გაშრობის ფაზაში გარემოს და ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა იყოს +5 °C-ზე ნაკლები და +30C-ზე მეტი

ხელსაწყოები:

გამოყენების შემდეგ ხელსაწყოები გარეცხეთ წყლით.



Alpina FliesenKleber Universal

გამოყენება

ზედაპირის მომზადება:

აგურის წყობის, ბეტონის და სხვა მდგრადი ზედაპირები უნდა იყოს სუფთა, მშრალი და მზიდუნარიანი. სამშენებლო ხსნარის ნარჩენები, განმაცალკეველი ნივთიერებები და სხვა არამდგრადი ნაწილაკები შეძლებისდაგვარად უნდა მოცილდეს. დაზიანებული და ჩამოშლილი დანაფარები და სტრუქტურული ბათქაში შეძლებისდაგვარად მოცილდეს. ბათქაში გაჩენილი ცარიელი ადგილები მოიმტვრეს, თავიდან შეიღესოს და გაუსწორდეს ზედაპირს. ძლიერ შემწოვი, ცარცვადი და ქვიშანაყარი ზედაპირები საფუძვლიანად გაინმინდოს მყარ სუბსტანციამდე.

მასალის მომზადება:

25 კგ შეფუთვის შიგთავსი ჩაყარეთ 6.0- 7,5 ლიტრ სუფთა, ცივ წყალში და მოურიეთ ნელი მბრუნავი მომრევით, ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. შემდგომ 10 წუთი დააყენეთ და კიდევ ერთხელ მოურიეთ. კონსისტენციის რეგულირება შესაძლებელია მცირე რაოდენობით წყლით. ამინდის პირობების გათვალისწინებით, მორეული მასალის გამოყენების დრო შეადგენს 1,5 - 2,0 საათს. მასალას, რომელსაც დაწყებული აქვს გამყარება არ დაამატოთ წყალი.

გამოყენების მეთოდი:

მასალა დაიტანება დაკბილული ქაფით (სახეხი). ნარევი ინარჩუნებს თავის წებვად თვისებებს, ზედაპირზე დატანიდან 15-20 წუთის განმავლობაში. ფილის დადების შემდგომ, კორექცია შესაძლებელია 10 წუთის მანძილზე. ნებო სრულიად მშრალია და ექვემდებარება სრულ დატვირთვებს 72საათის შემდგომ. მსუბუქი დატვირთვა შესაძლებელია 24 საათის შემდგომ

დამატებითი ინფორმაცია

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

შეინახეთ ბაკშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას. არ ქამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ ამ პროდუქტით მუშაობისას. გამოიყენეთ სპეც დანიშნულების ტანსაცმელი, ხელთათმანები, დამცავი სათვალე. თვალში ან კანზე მოხვედრისას დაუყოვნებლივ მოიბანეთ წყლით. არ დაუშვათ მასალის მოხვედრა კანალიზაციაში, წყალსატევებსა და ნიადაგში. გადაყლაპვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს.

უტილიზაცია:

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვები (მასალის ნარჩენების გარეშე). გამაგრებული მასალის ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი ნორმების გათვალისწინებით.

ეს ტექნიკური ინფორმაცია შედგენილია ტექნიკის უახლესი დონისა და ჩვენი გამოცდილების საფუძველზე. ზედაპირებისა და ობიექტური პირობების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, მყიდველი/მომხმარებელი ვალდებულია, ჩვენი მასალები მიზანშეწონილი დანიშნულების მხრივ შესაბამისი ობიექტის პირობებში შეამოწმოს. ხელახალი გამოცემის შემთხვევაში ეს დოკუმენტი კარგავს ძალას.